ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ ნოემბერი, 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15.15262052 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15.15262052 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შპს „გრანდ მოლი“-მ საკუთარი ხარჯებით სს ,,ენერგო პრო -ჯორჯია“-სთან შეთანხმებული პირობებით და ვადით უნდა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის გარემონტება ან/და შპს „გრანდ მოლი“-მ უნდა უზრუნველყოს სარემონტო ხარჯების ჯამში 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარის სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის გადახდა.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30), მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15.15262052 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 11 ნოემბერს შემოვიდა შპს ,,გრანდ მოლი“-ს №10/14263115366-14 კორესპოდენცია სადაც კომპანია განმარტავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს ,,გრანდ მოლი“ -ს შორის 2026 წლის 27 ივლისის გაფორმებული N01 ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დიდი ნაწილი კომპანიას შესრულებული აქვს კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია N05.24.04.580 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასური 281127.00 (ორასოთხმოცდაერთი ათას ასოცდაშვიდი) ლარი. ამასთან, კომპანიამ ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა N29-ში მდებარე 120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 72.80 კვ.მ შენობა ნაგებობა N01/1 (ს.კ. 05.24.04.582 (გაერთიანება/დაყოფამდე არსებული ძვ. ს.კ. 05.24.04.019)) გადასცა სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-ს (ს/ნ 205169066) საკუთრებაში. ხოლო, რაც შეეხება შპს გრანდ მოლი“-ს ვალდებულებას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის საკუთარი ხარჯებით გარემონტებას კომპანია აცხადებს, რომ შპს ,,გრანდ მოლი“ არ საქმიანობს სამშენებლო მიმართულებით. ამასთან, ქვესადგურის გარემონტება წარმაოდგენს სპეციფიკურ სარემონტო სამუშაოს, გამომდინარე აღნიშნულიდან და შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით შპს ,,გრანდ მოლი“-მ სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-ს შესთავაზა 2026 წლის 27 ივლისის 01 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ რემონტის საფასურის, ჯამში 140 000 ლარის სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის გადახდა. ამასთან, N10/14263115366-14 განცხადებას თან ერთვის სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-ს თანხმობის წერილი (26.10.2026 წ). აქედან გამომდინარე, შპს ,,გრანდ მოლი“-მ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა თხოვნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15.15262052 განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის რემონტის საფასურის, ჯამში 140 000 ლარის სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის გადახდის.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15.15262052 განკარგულების ცვლილება, კერძოდ:- შპს ,,გრანდ მოლი“-მ საკუთარი ხარჯებით სს ,,ენერგო პრო -ჯორჯია“-სთან შეთანხმებული პირობებით და ვადით უნდა უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7

(შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის გარემონტება ან/და შპს ,,გრანდ მოლი“-მ უნდა უზრუნველყოს სარემონტო ხარჯების 140 000 (ასორმოცი ათასი) ლარის სს ,,ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის გადახდა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება:

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

ე) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ვ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ზ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**